



სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

N 15
27/04/2021

15-0-4-202104271540



მუნიციპალიტეტის სოფელ ილიაწმიდაში, (ს/კ №56.12.42.005) 1969 კვ.მ.არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე დამაგრებული შენობა-ნაგებობის მეორე სართულის 308,04 კვ.მ ფართიდან ორი ოთახის, 73,5 კვ.მ -ის სასყიდლით სარგებლობის უფლებით (იჯარა) აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემისა და ქონების საწყისი საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მეოთხე პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის პირველი პუნქტისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 11 თებერვლის # 05/647 წერილის საფუძველზე, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერს გიორგი გოგილაშვილს გადასცეს სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ილიაწმიდაში, (ს/კ №56.12.42.005) 1969 კვ.მ.არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე დამაგრებული შენობა-ნაგებობის მეორე სართულის 308,04 კვ.მ ფართიდან 73,5 კვ.მ ორი ოთახი, სასყიდლით სარგებლობის უფლებით (იჯარა) აუქციონის წესით.
2. საიჯარო ვადად განისაზღვროს 5 წელი.
3. საწყისი საიჯარო ქირა განისაზღვროს 1000 ლარით.
4. დაევალოს სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერს გიორგი გოგილაშვილს მოქმედი კანონმდებლობით უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმება.
5. სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების გადაგზავნა სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიაში.

6. ეს განკარგულება განკარგულება ძალაში შევიდეს მხარეთათვის დადგენილი წესით გაცნობისთანავე.
7. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ. სიღნაღი ც. დადიანის ქ. #15) განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

ილია ხატიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

